სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2018 წლის 1 მაისის ბრძანება **№100/01-01** საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტზე: ბიომრავალფეროვნების კათედრა, გენეტიკის კათედრა, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრა, მორფოლოგიის კათედრა, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა, მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულება - გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილება **№142/2018** მე-4 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) № 7

ქ. თბილისი „11" ივლისი, 2018 წ

10:00

სხდომას კომისიის 6 წევრიდან ესწრებოდა 6 წევრი:1. თენგიზ ზაალიშვილი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (კომისიის თავმჯდომარე); 2. ლეილა წაქაძე - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მემბრანოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. მაიაგაიოზიშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი (კომისიის მდივანი); 4. ვერა ფხაკაძე - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდების დაცვის მთავარი კურატორი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი; 5. ნატო დარჩია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; 6. მანანა ბერულავა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზებიოლოგიის დეპარტამენტის:

1. უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;
2. იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;
3. გენეტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;

4. მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;
5. ბიომრავალფეროვნების კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;
6. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის შედგენა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის ინფორმაცია ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის **№142/2018** დადგენილების საფუძველზე შექმნილ კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას. კონკურსანტების შეფასება მოხდა 2 ეტაპად.

საკითხი 1.

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის კონკურსანტი მანანა გორდეზიანი.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის მანანა გორდეზიანის**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** მის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, რადგან მანანა გორდეზიანის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, ვინაიდან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო- მეთოდური საქმიანობა და მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (სტატიები, საკონფერენციო მასალები და მონოგრაფია); აქვს პატენტები (3) და მონაწილეობს საგრანტო პროექტში (1); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები როგორც საერთაშორისო (11), ასევე ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე (6). თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (კანადა) -

გამოქვეყნებული აქვთ ერთობლივი სამეცნიერო სტატია. კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-12; h-2; g-2. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ნაშრომები (2), რომლებიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია მისი გამოცდილება, სამეცნიერო კვლევების მიმართულებები, კვლევების სფერო და მომავალი პერსპექტივები.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. ბოლო 6 წლის სხვა სახის აქტივობების მიხედვით, კონკურსანტი არის თსუ ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ბრძანებით შექმნილი კომისიების წევრი, საერთაშორისო სკოლა-სემინარისა და სკოლა-კონფერენციის თანაორგანიზატორი, ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს წევრი, ვებ-გვერდის კომისიის წევრი. ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და ენებს - რუსული, ფრანგული, ინგლისური. კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის დეპარტამენტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი მანანა გორდეზიანი გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 2.

იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის კონკურსანტი ნინო გაჩეჩილაძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ნინო გაჩეჩილაძის **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** მის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო- მეთოდური საქმიანობა და მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში, ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (სტატიები, საკონფერენციო მასალები); აქვს პატენტი (1) და მონაწილეობს საგრანტო პროექტებში (9 საგრანტო პროექტი ბოლო 6 წელში); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები როგორც საერთაშორისო (8), ასევე ადგილობრივ (6) სამეცნიერო კონფერენციებზე. 1999-2003 წლებში თანამშრომლობდა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრთან, საერთო პროექტის ფარგლებში. კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-12; h-1. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია სახელმძღვანელო, რომელიც მაღალ დონეზეა შესრულებული და წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაშრომს დარგის სწავლებისათვის. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია მისი გამოცდილება, სამეცნიერო კვლევების მიმართულებები, კვლევების სფერო და მომავალი პერსპექტივები.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტი არის ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის - "ბიოლოგია" მოდული „მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია" ხელმძღვანელი, ასევე არის სხვადასხვა ასოციაციებისა და კომიტეტების წევრი, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების ხელმძღვანელი. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ სემინარებში, ტრენინგებში, სკოლა-კონფერენციებში და ვორკშოპებში. კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის დეპარტამენტისიმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ნინო გაჩეჩილაძე გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 3.

გენეტიკის კათედრის კონკურსანტი თინათინ ჯოხაძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის თინათინ ჯოხაძის **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** მის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო - მეთოდური საქმიანობა და მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები; აქვს პატენტი (1) და მონაწილეობს საგრანტო პროექტებში (4 პროექტი ბოლო 6 წელში); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები როგორც საერთაშორისო (3), ასევე ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე (3). თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - გამოქვეყნებული აქვთ ერთობლივი სამეცნიერო სტატიები. კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-96; h-5; g-9. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ერთი ნაშრომი, რომელიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია დარგში არსებული პრობლემები, მისი გამოცდილება და კვლევების სფერო,მისი მონაწილეობით მიმდინარე სამეცნიერო სამუშაო.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი.** კონკურსანტი არის თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ბიოლოგიის დარგობრივი სექციის მდივანი (2012-2018წწ), იყო სადოქტორო პროგრამის „გენეტიკა“ თანახელმძღვანელი (2007–2012წწ), სტუდენტური კონფერენციების თანაორგანიზატორი, განათლების ხარისხის განვითარების მართვის ეროვნული ცენტრის ექსპერტი, სამაგისტრო ნაშრომებისა და ასევე შესრულებული და დაცული საკანდიდატო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი, ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და ენებს - რუსული, გერმანული, ინგლისური. კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი თინათინ ჯოხაძე გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 4.

მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების კონკურსანტი მარიამ გაიდამაშვილი.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის მარიამ გაიდამაშვილის **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** მის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან ,კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო- მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (სტატიები, საკონფერენციო მასალები); მონაწილეობს საგრანტო პროექტში (4); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები როგორც საერთაშორისო (10), ასევე ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე (8). თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - შესრულებული აქვთ ერთობლივი საგრანტო პროექტები. კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-101; h-4; g-. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ნაშრომი, რომელიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მოცემულია ინფორმაცია აპლიკანტის გამოცდილების, მისი სამეცნიერო და აკადემიური მიღწევების, ასევე ამჟამად მის მიერ წარმოებული სამეცნიერო კვლევებისა და მისი ხელმძღვანელობით მიმდინარე საგრანტო პროექტების თემატიკის შესახებ.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი.** აღნიშნულ პუნქტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით კონკურსანტი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიოლოგიის დეპარტამენტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი (2011-

2018); სტუდენტთა საკონფერენციო მოხსენებების, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების, დოქტორანტურის სტუდენტების ხელმძღვანელი. ასევე არის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო და სამაგისტრო შრომების დაცვის დარგობრივი კომისიის (ბიოლოგია) წევრი, დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წევრი (2012-2018), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონკურსო კომისიის წევრი - დარგობრივი ექსპერტი (2013-2018). ეხმარება ევროპული სკოლის და თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებს სამეცნიერო აქტივობის განხორციელებაში ბიოლოგიის დეპარტამენტის მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულებაზე. არის საერთაშორისო მემცენარეობის ორგანიზაციის წევრი, საგამომცემლო რედაქციის ბორდის წევრი - „Transactions on Science and Technology", Erasmus+ Staff Mobility for Teaching სტიპენდიების მფლობელი (2016-2018). ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და ენებს - რუსული, ინგლისური.კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის დეპარტამენტის მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი მარიამ გაიდამაშვილი გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 5.

ბიომრავალფეროვნების კათედრის კონკურსანტი შამილ შეთეკაური.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის შამილ შეთეკაურის **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** მის მიერ დასაკავებელვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო- მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება

თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში, ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები ბოლო 6 წელიწადში მონაწილეობა აქვს მიღებული 4 საგრანტო პროექტში, წარდგენილი აქვს მოხსენებები როგორც საერთაშორისო (5), ასევე ადგილობრივ (1) სამეცნიერო კონფერენციებზე. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (გერმანია) - სტუდენტთა საზაფხულო პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ნაშრომი, რომლებიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მოცემულია ინფორმაცია აპლიკანტის მიერ წარმოებული სამეცნიერო კვლევებისა და მისი მომავალი სამეცნიერო გეგმების შესახებ.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი,** ვინაიდან აღნიშნულ პუნქტში მოცემული ინფორმაციის მიხედვითკონკურსანტი არის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, დისერტაციების ოპონენტი, DAAD-ის ორგზის სტიპენდიანტი (1997 და 2001წ). ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და ენებს - რუსული, გერმანული, ინგლისური. დამატებითი ინფორმაციის სახით ასევე წარმოდგენილია მრავალი აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს როგორც დარგის განვითარებას, ასევე აღნიშნულ სფეროში საქართველოში არსებული მიღწევებისა და გამოცდილების გაცნობას საერთაშორისო საზოგადოებისათვის.კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი შამილ შეთეკაური გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 6.

საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩაატრების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნიევრსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფესორი თენგიზ ზაალიშვილი

თავმჯდომარის მოადგილე:

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლეილა წაქაძე

კომისიის მდივანი:

ასისტენტ-პროფესორი მაია გაიოზიშვილი

კომისიის წევრები:

ბიოლოგიის დოქტორი ვერა ფხაკაძე

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნატო დარჩია

ასოცირებული პროფესორი მანანა ბერულავა